



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

საქართველოს თვრის მომოხილვა

2026

ინფლაცია	3
საბანკო სექტორი	5
საგარეო სექტორი	7
სავალუტო ბაზარი	10
ფულადი ბაზარი	13
მონეტარული აგრეგატები	14

“თვის მიმოხილვა“
მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის
მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ


ინფლაცია

ივლისში წლიურმა ინფლაციამ 5.5% შეადგინა, ხოლო ივნისთან შედარებით ფასების საერთო დონემ 0.4%-ით დაიკლო.


ბოლო თვეებში ინფლაციის მატების მთავარი მიზეზი მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში სანვავზე ფასების მატებაა, რაც ახლო აღმოსავლეთში საომარი მოქმედებებიდან გამომდინარე, ჰორმუზის სრუტეში ნავთობის ტრანსპორტირების შეფერხებას უკავშირდება. ივნისში დროებით მიღწეული სამშვიდობო შეთანხმების ფონზე, ნავთობის ფასებს გარკვეული პერიოდი კლებადი ტენდენცია ჰქონდა. შედეგად, ივლისში საქართველოს ბაზარზე სანვავის ფასები მცირედით შემცირდა, თუმცა ხელახალი ესკალაციის შედეგად კვლავ გაიზარდა.

რაც შეეხება შედარებით ხისტი ფასების საზომებს, საბაზო ინფლაციამ, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან მერყევ სურსათის, ენერგომომარებულების და სიგარეტის ფასებს გამოირიცხავს, ივლისში 3.5% შეადგინა, ხოლო მომსახურების ინფლაცია 4.4%-ს გაუცოლდა.

თვის ინფლაცია -0.4% (მნიშვნელოვანი წვლილები)



წლიური ინფლაცია 5.5% (მნიშვნელოვანი წვლილები)




წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

ივლისში, გასულ თვესთან შედარებით, სანვავი ადგილობრივ ბაზარზე მცირედით გაიზარდა, რამაც თვის ინფლაცია 0.11 პროცენტული პუნქტით (პპ) შეამცირა. სეზონური ფაქტორების გამო პომიდორის, კარტოფილის და ადამის გაიზარდა თვის ინფლაცია ჯამში 0.33 პპ-ით შეამცირა, ხოლო ხახვის, ვაშლის და ყველის გაძვირებამ თვის ინფლაცია ჯამში 0.19 პპ-ით გაზარდა.

წლიურ ქრილში ბენზინი და დიზელი შესაბამისად, 23% და 36%-ით გაძვირებულია, ხოლო ჯამში სანვავის გავლენამ ინფლაციაზე 1.1 პპ შეადგინა. ინფლაციის მატებაზე სურსათი კვლავ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, თუმცა მისი წვლილი წლის საწყის თვეებთან შედარებით შემცირებულია. ივლისში სურსათის და უალკოჰოლო სასმელების ინფლაციამ 4.9%, ხოლო წვლილმა ინფლაციაში 1.7 პპ შეადგინა. აქედან ყველაზე დიდი გავლენა პურს (0.5 პპ) და ძროხის ხორცს (0.5 პპ) ჰქონდა. სხვა პროდუქტებიდან აღსანიშნავია ელექტროენერგიის გადასახდელის (0.5 პპ) და ჯანდაცვის (0.4 პპ) წვლილები.


წლიურ ინფლაციაზე შემცირების მიმართულებით ყველაზე მეტად, საბაზო ეფექტის გამო, კარტოფილის წლიური გაიზარდა მოქმედებდა (-0.3 პპ). ასევე ხანგრძლივი მოხმარების საქონელზე დეფლაციური ტენდენცია გრძელდება. კერძოდ, საყოფაცხოვრებო ტექნიკის (ტელევიზორი, მაცივარი, სარეცხი მანქანა) ფასების კლებამ მთლიანი ინფლაცია 0.19 პპ-ით შეამცირა.

მთლიანი და საბაზო ინფლაცია




წყარო: საქსტატი

ჯგუფების წვლილი მთლიან ინფლაციაში




წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

ივლისში ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების წლიურმა ინფლაციამ 6.4% შეადგინა. ადგილობრივ ინფლაციაზე ყველაზე დიდი გავლენა პურის, ხორცისა და ყველის ფასებს აქვს (ჯამში 3.2 პპ). შერეულად წარმოებული პროდუქტების ინფლაციაში (4.4%) ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილები ელექტროენერგიის გადასახდელსა (1.8 პპ) და ოქროს ბეჭედზე (0.6 პპ) მოდიოდა. იმპორტირებულმა ინფლაციამ 5.3% შეადგინა, რაც ძირითადად სანვავის ფასების გაძვირებით აიხსნება (4.4 პპ).



წყარო: საქსტატი



წყარო: საქსტატი


ინფლაცია ჯგუფების მიხედვით	2026 წლის წონები	ივლ26/ივლ26		ივლ26/ივლ25	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
სულ	100.0%	-0.4%	-0.4%	5.5%	5.5%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	33.6%	-0.9%	-0.3%	4.9%	1.7%
სურსათი	30.8%	-1.1%	-0.3%	5.1%	1.5%
პური და პურპროდუქტები	6.3%	0.7%	0.0%	8.1%	0.5%
ხორცი და ხორცპროდუქტები	7.0%	-0.3%	0.0%	9.2%	0.6%
თევზი	0.5%	-0.1%	0.0%	18.2%	0.1%
რძე, ყველი და კვერცხი	6.3%	2.1%	0.1%	4.2%	0.2%
ზეთი და ცხიმო	2.7%	1.2%	0.0%	7.6%	0.2%
ხილი, ყურძენი	1.8%	-2.8%	-0.1%	2.5%	0.1%
ბოსტნეული, ბალახეული, კარტოფილის და სხვა ბოლქოვანების ჩათვლით	3.0%	-12.3%	-0.4%	-5.7%	-0.2%
შაქარი, ჯემი, თაფლი, სიროფები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.8%	-0.8%	0.0%	1.7%	0.0%
კვების სხვა პროდუქტები	0.6%	-0.7%	0.0%	-0.1%	0.0%
უალკოჰოლო სასმელები	2.8%	0.4%	0.0%	3.1%	0.1%
ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო	6.6%	-0.2%	0.0%	5.6%	0.4%
ცანსაცმელი და ფეხსაცმელი	4.3%	-4.9%	-0.2%	1.1%	0.1%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	9.7%	0.8%	0.1%	8.3%	0.8%
ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	5.0%	-0.3%	0.0%	-2.4%	-0.1%
ჯანმრთელობის დაცვა	8.3%	-0.1%	0.0%	4.7%	0.4%
ტრანსპორტი	11.4%	-0.1%	0.0%	14.2%	1.7%
კავშირგაბმულობა	3.1%	0.1%	0.0%	-6.3%	-0.2%
დასვენება, გართობა და კულტურა	4.2%	-0.4%	0.0%	1.0%	0.0%
განათლება	5.3%	0.0%	0.0%	2.4%	0.1%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	3.3%	0.5%	0.0%	7.9%	0.3%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	5.1%	0.5%	0.0%	7.6%	0.4%
ხანმოკლე მოხმარების საქონელი	59.8%	-0.7%	-0.4%	7.2%	4.3%
საშუალო ხანგრძლივობის მოხმარების საქონელი	7.9%	-2.9%	-0.2%	0.8%	0.1%
ხანგრძლივი მოხმარების საქონელი	5.6%	-0.1%	0.0%	-1.5%	-0.1%
მომსახურება	26.7%	0.6%	0.2%	4.4%	1.2%

წყარო: საქსტატი

საბანკო სექტორი


ივნისში საბანკო სექტორის სადეპოზიტო ვალდებულებები წლიურად 12.7 მლრდ ლარით გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით 22.9%-ით) და 73.5 მლრდ ლარი შეადგინა. თვის წრილში კი, იმავე მაჩვენებელმა 2.1 მლრდ ლარით მოიმატა (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით 3.6%-ით). ეროვნული ვალუტის სადეპოზიტო ვალდებულებები წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 10.7 მლრდ ლარით (34.9%-ით), ხოლო წინა თვესთან შედარებით 2.1 მლრდ ლარით (5.2%-ით) გაიზარდა და 41.3 მლრდ ლარი შეადგინა. რაც შეეხება, უცხოური ვალუტის დეპოზიტებს, მისმა მოცულობამ წლიურად დაახლოებით 2.0 მლრდ ლარით (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით 10.6%-ით) მოიმატა, ხოლო წინა თვესთან შედარებით, 0.1 მლრდ ლარით (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით 1.6%-ით) 32.2 მლრდ ლარის ეკვივალენტამდე გაიზარდა.

სადეპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სადეპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ივნისში მთლიანი დეპოზიტების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის დეპოზიტებზე არსებული საპროცენტო განაკვეთების გარეშე), წინა თვესთან შედარებით უმნიშვნელოდ, 0.03 პპ-ით შემცირდა და 5.5% შეადგინა. ეროვნული ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთიც უცვლელია და 7.0%-ს შეადგენს. უცხოური ვალუტით დენომინირებულ დეპოზიტებზე კი საშუალო შეწონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი დაახლოებით 0.2 პპ-ით შემცირდა და 1.6%-ს შეადგენს. რეზიდენტების ლარის ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები 0.1 პპ-ით 9.8%-მდე გაიზარდა, ევროს ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი 0.4 პპ-ით 2.0%-მდე გაიზარდა, ხოლო რეზიდენტების აშშ დოლარით განთავსებული დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი თითქმის უცვლელად 2.6%-ზე შენარჩუნდა.

დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე, ნაპალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


რეზიდენტების ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები ვალუტების მიხედვით (ნაპალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


დეპოზიტების დოლარიზაცია ივნისში 0.9 პპ-ით შემცირდა და 43.8% შეადგინა. ივნისის ბოლოს, ფიზიკური პირების დეპოზიტების დოლარიზაცია 0.8 პპ-ით შემცირდა და 58.1% შეადგინა. იურიდიული პირების დეპოზიტების დოლარიზაცია კი 0.1 პპ-ით 35.5%-მდე შემცირდა. ამასთან, ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტების დოლარიზაცია, ივნისში, წინა თვესთან შედარებით, 0.4 პპ-ით, 51.8%-მდე შემცირდა.

**დამოზიდვის დოლარიზაცია
(კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


**ფიზიკური პირების ვალდანი დამოზიდვის დოლარიზაცია
(კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ივნისში, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სესხების ზრდის ტემპი 0.3 პპ-ით გაიზარდა და წლიური მაჩვენებელი 14.5%-ს გაუტოლდა. აღნიშნული, როგორც ეროვნული, ისე უცხოური ვალუტის დაკრედიტების ზრდის ტემპის მატებამ განაპირობა. კერძოდ, უცხოური ვალუტის სესხების ზრდის ტემპი 0.4 პპ-ით, 14.2%-მდე, გაიზარდა, ხოლო ეროვნული ვალუტით დაკრედიტების წლიური ზრდის ტემპი თვის წრილში 0.2 პპ-ით გაიზარდა და 14.7% შეადგინა. მთლიანი სესხების ზრდაში დაახლოებით 8.4 პპ-იანი წვლილი ლარის, ხოლო 6.1 პპ-იანი - უცხოური ვალუტის დაკრედიტებამ შეიტანა. საკრედიტო პორტფელის მიზნობრიობის წრილში, დაკრედიტების ზრდის ტემპის მატება, მეტწილად, ბიზნეს, სამომხმარებლო და იპოთეკური სესხებით აიხსნება, რომელთა წვლილიც მთლიანი სესხების ზრდაში თანაბრად, 0.1 პპ-ით გაიზარდა 6.8 პპ, 4.2 პპ და 2.7 პპ-მდე.

**სასხაბის წლიური ზრდის ტემპი
(წლილი ზრდაში; კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**სასხაბი მიზნობრიობის მიხედვით
(წლილი ზრდაში; კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ივნისში, სესხების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი, წინა თვესთან შედარებით, 0.5 პპ-ით 13.1%-მდე შემცირდა. კერძოდ, ეროვნული ვალუტით გაცემულ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.7 პპ-ით 15.2%-მდე, ხოლო უცხოური ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით 9.2%-მდე შემცირდა.

**საპროცენტო განაკვეთები იურიდიულ პირებზე
გაცემულ სასხაბზე (ნაპალი)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საპროცენტო განაკვეთები იპოთეკურ სასხაბზე (ნაპალი)





წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ივნისში იურიდიულ პირების საპროცენტო განაკვეთები და მთლიანად იპოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთები ეროვნულ ვალუტაში 0.2 პპ-ებით შემცირდა და შესაბამისად 12.6% და 11.5% შეადგინა. ამავდროულად, იურიდიული პირების უცხოური ვალუტის სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით შემცირდა და 9.6% შეადგინა, ხოლო იპოთეკური სესხების უცხოური ვალუტის საპროცენტო განაკვეთი კი 0.2 პპ-ით 7.8%-მდე შემცირდა.

ივნისში მთლიანი საკრედიტო პორტფელის დოლარიზაცია 41.6% შეადგინა. იურიდიული პირების სესხების დოლარიზაცია, წინა თვესთან შედარებით 0.2 პპ-ით შემცირდა და 66.2% შეადგინა. ხოლო, ფიზიკური პირების სესხების დოლარიზაცია კი 0.2 პპ-ით 21.1%-მდე გაიზარდა. ვადაგადაცილებული სესხები, წინა თვესთან შედარებით, 7.5 მლნ ლარით შემცირდა და 651.1 მლნ ლარს გაუცოლდა. ვადაგადაცილებული სესხების 49.8% ეროვნული ვალუტით არის დენომინირებული.

დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გაპოროცხვით)

ვადაგადაცილებული დავალიანება



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



საგარეო სექტორი

ივნისში საქონლის რეგისტრირებული საგარეო ვაჭრობის დეფიციტი წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით 2.0%-ით გაუმჯობესდა და -854.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნულ პერიოდში საქონლის იმპორტი წლიურად 7.5%-ით გაიზარდა და 1.6 მლრდ აშშ დოლარს გაუცოლდა, ხოლო ექსპორტი 20.4%-ით გაიზარდა და 770.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აქედან, მსუბუქი ავტომობილების წვლილმა ექსპორტის წლიურ ზრდაში -6.1 პროცენტული პუნქტი (პპ), ხოლო იმპორტში -6.2 პპ შეადგინა.

ამავდროულად, ადგილობრივი ექსპორტის ზრდა 2026 წლის ივნისშიც გაგრძელდა და წლიურად 50.5%-იანი ზრდის შედეგად 469.0 მლნ აშშ დოლარს გაუცოლდა.

საქონლის ექსპორტ-იმპორტისა და საგარეო ბალანსის დინამიკა (მლნ აშშ დოლარი)

საგარეო ბალანსი ქვეყნების მიხედვით (ივნისი, 2026)



წყარო: საქსტატი


წყარო: საქსტატი

იმპორტი - ივნისში იმპორტის ზრდა ყველა დანიშნულების საქონლის ჯგუფში აღინიშნა. ზრდაში ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი შუალედური მოხმარების საქონლის იმპორტმა შეიძინა, რომლის კონტრიბუციამ 5.9 პპ შეადგინა. ამასთან, გაიზარდა როგორც სამომხმარებლო, ისე საინვესტიციო დანიშნულების საქონლის იმპორტიც, რომელთა წვლილმა ზრდაში, შესაბამისად, 1.3 პპ და 0.2 პპ შეადგინა.

შუალედური მოხმარების საქონლის კატეგორიაში გაზრდილია ნედლი ნავთობისა და ნახევარგამდგარების იმპორტი.


სამომხმარებლო საქონელში ერთი მხრივ, მნიშვნელოვნად შემცირდა მსუბუქი ავტომობილების იმპორტი, რომლის კონტრიბუციამ აღნიშნული ციკლის საქონლის იმპორტში -10.3 პპ შეადგინა. მეორეს მხრივ, გაიზარდა ნავთობპროდუქტების იმპორტი.

საქონლის იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)



წყარო: საქსტატი

საქონლის იმპორტი (წილი მთლიან იმპორტში)



წყარო: საქსტატი

ქვეყნების ჯგუფის წრილში, ივნისის იმპორტის წლიურ ცვლილებაში ევროკავშირის ქვეყნები მცირედი კლების მიმართულებით მოქმედებდა, -0.2 პპ წვლილით. აღნიშნული ქვეყნების ჯგუფში, სასაქონლო წრილში კლებას ძირითადად მსუბუქი ავტომობილები განაპირობებდა. შედეგად, ევროკავშირის წილი ავტომობილების მთლიან იმპორტში წლიურად 18.9%-დან 12.1%-მდე შემცირდა. მეორეს მხრივ, გაზრდილია ნავთობპროდუქტებისა და სამკურნალო საშუალებების იმპორტი.


ქვეყნებს შორის იმპორტის ზრდის მიმართულებით ყველაზე დიდი წვლილი რუსეთსა და ჩინეთს ჰქონდა. ასევე გაზრდილი იყო იმპორტი ბელორუსიდან, იაპონიიდან, აზერბაიჯანიდან და თურქეთიდან. საპირისპიროდ, შემცირებულია აშშ-დან იმპორტზე დანახარჯები (მსუბუქი ავტომობილების გამო).

რუსეთიდან იმპორტის ზრდა ძირითადად ნავთობისა და ნავთობპროდუქტების შემოტანას უკავშირდება. ჩინეთიდან გაიზარდა სამრეწველო საქონლის იმპორტი, ხოლო თურქეთიდან, ბელორუსიდან და აზერბაიჯანიდან - ნავთობპროდუქტების იმპორტი. იაპონიიდან გაიზარდა მსუბუქი ავტომობილების იმპორტი.

აღნიშნულ თვეში, ევროკავშირისა და 4 ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყანაზე მთლიანი იმპორტის 73.4% მოდიოდა.


აღსანიშნავია, რომ პროდუქტების წრილში, ივნისში იმპორტირებულ საქონელში წამყვანი წილი მსუბუქი ავტომობილებისა და ნავთობპროდუქტების იმპორტს ეკავა. მაღალი წილის მიუხედავად, მსუბუქ ავტომობილებს კლებაში ყველაზე დიდი წვლილი შეჰქონდა.

ქვეყნების წილი საქონლის იმპორტში (ივნისი, 2026)



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშება

საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)





წყარო: საქსტატი

ექსპორტი - ივნისში საქონლის რეგისტრირებული ექსპორტის წლიური ზრდა ძირითადად სამომხმარებლო (14.8 პპ წვლილით) საქონლის ექსპორტის ზრდამ განაპირობა. ასევე გაზრდილია შუალედური მოხმარების საქონლის ექსპორტიც (5.7 პპ წვლილით). ამასთან, უმნიშვნელოდ შემცირდა საინვესტიციო საქონლის ექსპორტი, წლიურ ცვლილებაში -0.1 პპ წვლილით.

სამომხმარებლო საქონლის ჯგუფიდან გაზრდილია ნავთობპროდუქტების ექსპორტი, ხოლო მსუბუქი ავტომობილების რექსპორტი განაგრძობდა შემცირებას, -8.8 პპ წვლილით აღნიშნული ტიპის საქონლის ექსპორტში. შუალედური მოხმარების საქონლის ჯგუფიდან გაზრდილი იყო ადგილობრივი წარმოების პროდუქტების, სპილენძის მადნებისა და ძვირფასი ლითონების მადნების ექსპორტი.

საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (ივნისი 2026, წილი ექსპორტში)

ქვეყნების წილი საქონლის ექსპორტში (ივნისი, 2026)



წყარო: საქსტატი

წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშება

ქვეყნების ჯგუფის წილში, ივნისის ექსპორტის წლიურ ცვლილებაში, ევროკავშირის ქვეყნებიდან მიღებული საექსპორტო შემოსავლების წვლილმა -5.1 პპ შეადგინა. ეს ძირითადად ფეროშენადნობებისა და მინერალური სასუქების ექსპორტის კლებას უკავშირდებოდა.

ამავე პერიოდში, ქვეყნებს შორის, საექსპორტო შემოსავლები მეტწილად აზიის ქვეყნებიდან გაიზარდა. ამავდროულად, ცენტრალური აზიის ქვეყნებში შემცირებულია მსუბუქი ავტომობილების რექსპორტი.

აღსანიშნავია, რომ ჩინეთში გაზრდილია სპილენძისა და ძვირფასი ლითონების მადნების, ასევე ნავთობპროდუქტების ექსპორტი.

ივნისში საქონლის ექსპორტის უდიდესი წილი მსუბუქ ავტომობილებს (26.4%-იანი წილი მთლიან ექსპორტში) ეჭირა. ძირითადი საექსპორტო პროდუქტებიდან გაზრდილია ძვირფასი ლითონების მადნებისა და სპილენძის მადნების ექსპორტიდან მიღებული შემოსავლები.



წინა წელთან შედარებით სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტი უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.

ფულადი გზავნილები - ივნისში საქართველოში გადმორიცხული ფულადი გზავნილების მოცულობა წლიურად 10.4%-ით, 348.3 მლნ აშშ დოლარამდე, გაიზარდა. საქართველოდან გადმორიცხული თანხების მოცულობა კი 16.0%-ით, 39.8 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა. გადმორიცხული ფულადი ნაკადების ზრდაში წამყვანი წვლილი რუსეთიდან მიღებულმა გზავნილებმა (3.3 პპ) შეიძინა წლიური 25.1%-იანი ზრდით. 12.7%-იან ზრდას განაგრძობდა აშშ-დან მიღებული გზავნილების წვლილი 2.4 პპ). ევროკავშირიდან გზავნილების ზრდამ წლიურად 4.8%, ხოლო წვლილმა ზრდაში 2.1 პპ შეადგინა.

ივნისში ფულადი გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (42.2%), აშშ (19.0%) და რუსეთი (14.8%) წარმოადგენდა. ევროკავშირის ქვეყნებიდან აღსანიშნავია იტალიის (15.6%), გერმანიის (8.7%) და საბერძნეთის (7.9%) მაღალი წილი.

ქვეყნების წილი სწრაფ ფულად გზავნილებში (ივნისი 2026)

ფულადი გზავნილების ზრდა (წლილი ზრდაში ქვეყნების მიხედვით)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ბაზარი


ივნისში, წინა თვესთან შედარებით, ლარის საშუალო გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.6806-დან 2.6561-მდე (0.9%-ით), ხოლო ევროს მიმართ 3.1315-დან 3.0621-მდე (2.2%-ით) გამყარდა. თვის ბოლოს ლარის ოფიციალურმა გაცვლითმა კურსმა აშშ დოლარისა და ევროს მიმართ 2.6453 და 3.0156 შეადგინა. აღნიშნულ პერიოდში ლარი-დოლარის გაცვლითი კურსის მაქსიმალური მნიშვნელობა 2.6693 იყო, მინიმალური კი - 2.6453.

ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარისა და ევროს მიმართ



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის ყოველთვიური მერყეობის დიაპაზონი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ივნისში, დოლარის საშუალო კურსთან შედარებით, გაცვლითი კურსის მაქსიმალური მნიშვნელობა მინიმალურზე მეტად იყო გადახრილი.


ივნისში, საშუალოდ დოლართან მიმართებაში, თურქულმა ლირამ, როგორც თვის, ასევე წლიურ წრეში გაუფასურება განაგრძო. თვის წრეში, ასევე გაუფასურდა ევრო და რუსული რუბლი. მცირედ გამყარდა სომხური დრამი, აზერბაიჯანული მანათი კი პრაქტიკულად არ შეცვლილა. რაც შეეხება ლარს, გამყარება შეინიშნება როგორც თვიურ, ასევე წლიურ დონეზე. შედეგად, ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი გამყარდა (NEER), როგორც თვიურ, ისე წლიურ წრეში. კერძოდ, ივნისში წლიურად 3.8%-ით, თვის წრეში კი 1.7%-ით გამყარდა.

თვის განმავლობაში საშუალო კურსიდან გადახრა (ლარი/დოლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

კირითადი სავაჭრო პარტნიორების საშუალო თვიური გაცვლითი კურსების¹ თვიური ცვლილება დოლართან მიმართებაში, 2026 წლის ივნისი (ზრდა=გაუფასურება)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


რაც შეეხება ლარის რეალურ ეფექტურ გაცვლით კურსს (REER), იგი წლიურად 1.3%-ით, თვის წრეში კი 1.6%-ით გამყარდა. NEER-ის გამყარება REER-ზე გამყარების მიმართულებით მოქმედებდა, თუმცა წლის წრეში ცალკეულ ქვეყნებთან (მათ შორის თურქეთთან) ინფლაციის მაღალი დიფერენციალი REER-ზე გაუფასურების მიმართულებით აისახებოდა. ჯამურად, ნომინალური კურსის გამყარება და ინფლაციებს შორის დიფერენციალი ერთმანეთს აბალანსებს, რაც ბოლო თვეებში რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის დონის მის წონასწორულ დონესთან ახლოს შენარჩუნებას განაპირობებს.

¹ წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი <https://nbg.gov.ge/statistics/statistics-data>

ზოგადად, ეფექტური კურსის გამყარება ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე უარყოფითად აისახება, თუმცა იმპორტულ ინფლაციაზე შემცირების მიმართულებით მოქმედებს. ბოლო პერიოდში, REER-ის გავლენა საექსპორტო საქონლის კონკურენტუნარიანობაზე მეტწილად ნეიტრალურია.


გლობალურად მომადებული გაურკვევლობის და გაზრდილი ინფლაციური რისკების ფონზე ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ინფლაციები გაიზარდა.

ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსები (იან.2020=100)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ინფლაციები, 2026 წლის ივნისი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ბაზრის დინამიკები


ივნისში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე მონაწილეობდა 14 კომერციული ბანკი, 2 მიკრობანკი და 10² არასაბანკო ორგანიზაცია. სავალუტო ბაზრის მაჩვენებლების მიხედვით ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი დაბალ დონეზე ნარჩუნდება, რაც სავალუტო ბაზრის მაღალ კონკურენტუნარიანობაზე მიუთითებს.

ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის მთლიანი სავაჭრო ბრუნვა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის კონსენსუსური გარეგნული 5 ყველაზე აქტიური ორგანიზაციის წილები მიხედვით




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ივნისში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე ვაჭრობის მოცულობა გაზრდილია, როგორც თვის, ასევე წლიურ ჭრილში. აღნიშნულ თვეში აშშ დოლარი/ლარის ვაჭრობის მთლიანმა ბრუნვამ 768.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა თვესთან შედარებით 51.3 მლნ აშშ დოლარით, ხოლო წინა წლის ივნისთან შედარებით - 256.3 მლნ აშშ დოლარით მეტია. ბაზრის მონაწილეებს შორის დადებული გარიგებების რაოდენობა წინა თვესთან შედარებით 17.6%-ით, წლიურად კი 26.7%-ით გაიზარდა.

² რომლებიც მონაწილეობენ ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე დადებულ გარიგებებში.


ივნისის მდგომარეობით, წინა თვესთან შედარებით, ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები 115.8 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. რეზერვების მთლიანმა მოცულობამ კი ისტორიულად მაღალ მაჩვენებელს მიაღწია და 7.1 მლრდ აშშ დოლარს გადააჭარბა. რეზერვებზე ზრდის მიმართულებით მთავრობის მიერ მიღებული სავალუტო ჩარიცხვები, რეზერვებზე საპროცენტო შემოსავლები და სავალუტო ინტერვენციების საშუალებით უცხოური ვალუტის წმინდა შეძენა, ხოლო შემცირების მიმართულებით - საერთაშორისო ბაზარზე ოქროს ფასის კლების შედეგად მონეტარული ოქროს გადაფასება და მთავრობის სავალუტო ხარჯები (სესხის მომსახურება) მოქმედებდა.

ეროვნული ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მთლიანი საერთაშორისო რეზერვების თვიური ცვლილება (მიმდინარე კურსით)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი ბაზარი

ივნისში სადეპოზიციო სერტიფიკატების ერთი აუქციონი ჩატარდა და 20 მლნ ლარის ღირებულების სამთვიანი სადეპოზიციო სერტიფიკატი გაიყიდა. ამავე პერიოდში 20 მლნ ლარის ერთი სადეპოზიციო სერტიფიკატი დაიფარა. შესაბამისად, წინა თვესთან შედარებით, სადეპოზიციო სერტიფიკატების ნაშთი არ შეცვლილა და 60 მლნ ლარი შეადგინა.


ივნისში სახაზინო ფასიანი ქაღალდების ექვსი აუქციონი ჩატარდა. აღნიშნულ აუქციონებზე ჯამში 195.0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები განთავსდა. ჩატარებულ აუქციონებზე გაიყიდა 6-თვიანი, ერთწლიანი, სამწლიანი, ხუთწლიანი, ექვსწლიანი და ათწლიანი ვადიანობის სახაზინო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც, შესაბამისად, 20, 20, 40, 45, 40 და 30 მლნ ლარის ოდენობით განთავსდა. სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთი წინა თვესთან შედარებით 158.6 მლნ ლარით გაიზარდა და 12,428.6 მლნ ლარი შეადგინა. მთლიანი პორტფელის 65.7%-ს კომერციული ბანკების, 9.1%-ს ეროვნული ბანკის, 16.9%-ს რეზიდენტების, ხოლო 8.3%-ს არარეზიდენტების მფლობელობაში არსებული სახაზინო ფასიანი ქაღალდები შეადგენს.

სადაპოზიციო სერტიფიკატების მოცულობა (ნაპალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სახაზინო ფასიანი ქაღალდების მოცულობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ივნისში სადებოზიტო სერტიფიკატების საპროცენტო განაკვეთები გაიზარდა. სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები 6 თვით გაიზარდა, ხოლო ერთწლიანი შემცირდა. კერძოდ, ივნისში, წინა თვესთან შედარებით, სადებოზიტო სერტიფიკატებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით, 8.2%-მდე, გაიზარდა. ექვსთვიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები ასევე 0.1 პპ-ით გაიზარდა და 8.2% შეადგინა, ხოლო ერთწლიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები 0.1 პპ-ით შემცირდა და 8.2% შეადგინა. სამწლიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები 0.1 პპ-ით გაიზარდა 8.4%-მდე. რაც შეეხება 5 და 10 წლიან სახაზინო ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთებს, ისინი 0.2 პპ-ით შემცირდა და შესაბამისად 8.5% და 9.3% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ შემცირებულია ექვსწლიანი სახაზინო ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთები 0.3 პპ-ით 8.8%-მდე.

ფულადი ბაზრის საპროცენტო განაკვეთები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარის შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ივნისში ბანკთაშორის ფულადი ბაზრის მოცულობა თვის წრილში 2,097.9 მლნ ლარით (წლიურად 2,770.1 მლნ ლარით გაიზარდა) 24,220.8 მლნ ლარამდე გაიზარდა, რაც მეტწილად უცხოური ვალუდის რესურსით არის განპირობებული. ბანკთაშორის ფულადი ბაზრის დიდი წილი უცხოური ვალუდის ბრუნვაზე მოდის (77.2%), რომლის მოცულობაც თვის წრილში 1,585.8 მლნ ლარით (9.3%-ით) გაიზარდა. ლარის რესურსის ბრუნვის მოცულობა კი თვის წრილში 512.5 მლნ ლარით (10.2%-ით) გაიზარდა.

რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, ბანკთაშორის ბაზარზე ლარის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი თვის წრილში გაიზარდა 0.1 პპ-ით და 7.9% შეადგინა. უცხოური ვალუდის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი პრაქტიკულად არ შეცვლილა და 1.6%-ზე შენარჩუნდა.

აღსანიშნავია, რომ ივნისში ფულადი ბაზრის რესურსის 29.2% ერთ თვემდე ვადიანობის დებოზიტებზე, ხოლო 70.0% კი მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ რესურსზე მოდიოდა.

ბანკთაშორის ფულადი ბაზარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


მონეტარული აგრეგატები

ივნისში, წინა თვესთან შედარებით, სარეზერვო ფულის მოცულობა 860.2 მლნ ლარით (10.3%-ით) გაიზარდა და პერიოდის ბოლოსთვის 9.2 მლრდ ლარით შეადგინა. საშუალო მაჩვენებლის მიხედვით კი, წინა თვესთან შედარებით, 233.1 მლნ ლარით (2.7%-ით) გაიზარდა.


ივნისში სავალუტო აუქციონების გამოყენებით ეროვნულ ბანკს ოპერაციები არ განუხორციელებია. BMatch პლატფორმის წესებზე დაფუძნებული მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო შესყიდვებმა თვის განმავლობაში 612.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ამასთან, შიდა სამთავრობო კონვერტაციებით ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო გაყიდვებმა 50.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნული ოპერაციების შედეგად, წმინდა უცხოური აქტივები 562.5 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა.

ივნისში მთავრობის დეპოზიტებზე არსებული სახსრები 435.2 მლნ ლარით შემცირდა და მისი მოცულობა პერიოდის ბოლოსთვის, 857.4 მლნ ლარს გაუცოლდა.

სარეზერვო ფულის თვიური ცვლილება კომპონენტების მიხედვით



ფულადი აგრეგატები




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ივნისში ნაღდ ფულზე მოთხოვნა 146.9 მლნ ლარით გაიზარდა. ამასთან რეფინანსირების სესხების მოცულობა, წინა თვესთან შედარებით, 105.0 მლნ ლარით შემცირდა. ერთდღიანი სესხის ნაშთი კი 1.0 მლნ ლარით გაიზარდა. ივნისში დაიფარა 20.0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სადეპოზიტო სერტიფიკატები და განხორციელდა იმავე მოცულობით განთავსება. მეორად ბაზარზე, სახაზინო ფასიანი ქაღალდების შესყიდვის ოპერაციები არ განხორციელებულა. მთლიანობაში, ივნისში ბანკების წმინდა დავალიანების მოცულობა 1,104.0 მლნ ლარით შემცირდა და პერიოდის ბოლოსთვის, 836.5 მლნ ლარს გაუცოლდა.


ივნისში ფართო ფულის (M3) მოცულობა თვიურად 1.6 მლრდ ლარით, ხოლო ფართო ფულის M2 აგრეგატის მოცულობა კი დაახლოებით 1.4 მლრდ ლარით გაიზარდა.

საბანკო სექტორის ლიკვიდობაზე მომავლი ფაქტორები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული ოპერაციები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკი 0114, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1
ტელ: 240 64 88; ფაქსი: 240 65 77; ცხელი ხაზი: 240 64 06
ელ ფოსტა: info@nbg.ge; www.nbg.ge

